## საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №17/12

2019 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, მე-100, 103-ე, 115-ე, 116-ე, 118-ე და 177-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდეს ერთი თვით.
3. სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 27 მარტი 14:00 საათი.
4. სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 27 აპრილი.

5. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი) და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), უზრუნველყონ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცნობის კომისიის ვებ-გვერდზე განთავსება.
6. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი), უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
7. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
8. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს (ე. ლაგვილავა).
9. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი